





S K Y G R O U P

შპს სკაი გრუპ
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის


	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	8,797,891.00	7,168,917	4,514,880
არასაოპერაციო შემოსავალი	34,359.00	23,593	874,988
სულ შემოსავალი	8,832,250	7,192,510	5,389,868
დასაქმებულთა ანაზღაურება	5,109,737.00	4,273,900	3,580,201
იჯარის ხარჯი	258,643.00	232,997	188,642
საკონსულტაციო ხარჯი	29,706	101,287	32,549
ცვთვის და ამორტიზაციის ხარჯები	134,970.00	132,436	106,792
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2,594,666	2,281,603	1,624,730
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	174,831.00	154,533	394,382
სულ ხარჯი	8,302,553	7,176,756	5,927,296
მოგება დაბეგვრამდე	529,697	15,754	(537,428)
მოგების გადასახადი	41,889.00	82,123	
წმინდა მოგება	487,808	(66,369)	(537,428)
სხვა სრული შემოსავალი			
მთლიანი სრული შემოსავალი	487,808	(66,369)	(537,428)

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



ფინანსური მდგომარეობა	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	999,607	475,509	1,162,188
სავაჭრო მოთხოვნები	315,532	203,333	557,043
გადახდილი ავანსები	226,080	284,947	90,409
სასესხო მოთხოვნები	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	69,363	434,195	159,166
სულ მიმდინარე აქტივები	1,610,582	1,397,984	1,968,806
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	250,951.00	220,211	237,634
არამატერიალური აქტივები	50,514.00	58,648	7,189
სულ გრძელვადიანი აქტივები	301,465	278,859	244,823
სულ აქტივები	1,912,047	1,676,843	2,213,629
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	79,229	67,374	79,388
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	26,459	57,234	-
სულ ვალდებულებები	105,688	124,608	79,388
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	-	-	65,272
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1,806,359	1,552,235	2,068,969
სულ საკუთარი კაპიტალი	1,806,359	1,552,235	2,134,241
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,912,047	1,676,843	2,213,629

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



ფულადი სახსრების მოძრაობა

	<u>2022</u>	<u>2021</u>	<u>2020</u>
მოგება	704,528.00	170,287.00	(815,689.00)
დებიტორების ცვლილება	(112,199.00)	353,710.00	946,976.00
ავანსების ცვლილება	58,867.00	(194,538.00)	17,379.00
სხვა აქტივების ცვლილება	406,247.00	(251,170.00)	(17,145.00)
მიმდინარე სხვა აქტივების ცვლილება	(41,415.00)	(23,859.00)	199,028.00
არამატ. აქტივების ცვლილება	8,134.00	(51,459.00)	(4,250.00)
კრედიტორების ცვლილება	11,855.00	(12,014.00)	(23,425.00)
სხვა ვალდებულებების ცვლილება	(30,775.00)	57,234.00	(174.00)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,005,242.00	48,191.00	302,700.00
საინვესტიციო საქმიანობა			-
ძირით. საშუალებების ცვლილება	(30,740.00)	17,423.00	(34,382.00)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(30,740.00)	17,423.00	(34,382.00)
ფინანსური საქმიანობა - გაცემული დივიდენდი	(275,573.00)	(532,488.00)	
კაპიტალი	-	(65,272.00)	(343,992.00)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(275,573.00)	(597,760.00)	(343,992.00)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	698,929.00	(532,146.00)	(75,674.00)
სავალუტო კურსის ეფექტი	(174,831.00)	(154,533.00)	309,971.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	475,509.00	1,162,188.00	927,891.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	999,607.00	475,509.00	1,162,188.00

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი	2019 ლარი
საკუთარი კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	1,552,235.00	2,134,241.00	2,983,951.00	2,574,696.00
საწესდებო კაპიტალი	-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	487,808.00	(66,369.00)	(537,428.00)	441,255.00
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(233,684.00)	(515,637.00)	(312,282.00)	(32,000.00)
საკუთარი კაპიტალი პერიოდის ბოლოს	1,806,359.00	1,552,235.00	2,134,241.00	2,983,951.00

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "სკაი გრუპ" წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 24/01/2018), კომპანიის ოფისი მდებარეობს: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ანდრია აფაქიძის ქ., N 5, სადარბაზო 2, სართული 13, ბინა N110. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტი და შემდგომი უზრუნველყოფა, ასევე მომსახურებას პროგრამული უზრუნველყოფისა და ბიზნეს პროცესების მართვაში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

- 2.1. წინამდებარე ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.
- 2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით, აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი დარიცხვის მეთოდი დაცულია.
- 2.3. გათვალისწინებულია მის ფასის-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა.
- 2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).
- 2.5. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში.
- 2.6. უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის;

კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება



შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად, რომელიც ეხება მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს, საწარმოების მოგების გადასახადი გადავადდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

ა) განაწილებული მოგება;

ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

გ) უსასყიდლოდ საკონსილი მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
 დ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

კომპიუტერული ტექნიკა	3
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
მობილური ტელეფონები	2
სხვა ძირითადი საშუალებები	5

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები



მომსახურების მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს სავაჭრო ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება, თუ არ ხდება სახელშეკრულებო პირობების დარღვევა.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით, კომპანიიდან დივიდენდის გატანაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს გაცემულ ხელფასებსა და სხვა დამატებით ბენეფიტებს.

იჯარა

იჯარა მოიცავს საოფისე ფართის ქირას, რომელიც მიღებულია ჩვეულებრივი საიჯარო პირობებით და აღირიცხება საოპერაციო იჯარის პრინციპით.

არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები

არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები მოიცავს საპროცენტო შემოსავლებსა და სავალუტო კურსთაშორის ცვლილებით გამოწვეულ ეფექტს.



გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები**3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:**

12/31/2022

12/31/2021

ლარი საბანკო ანგარიშზე		12,047.54 ლ		57,894.70 ლ
ევრო საბანკო ანგარიშზე	€	319,567.77	€	145,601.69
დოლარი საბანკო ანგარიშზე	\$	24,333.23	\$	11,562.88

3.2. გაცემული მიმდინარე სესხი:

		<u>12/31/2022</u>		<u>12/31/2021</u>
გაცემული სესხი		-		-

3.3. სავაჭრო მოთხოვნები

		<u>12/31/2022</u>		<u>12/31/2021</u>
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან		315,532.00		203,333.00

2022 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს.

3.4. გადახდილი ავანსები

		<u>12/31/2022</u>		<u>12/31/2021</u>
რეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		86,807.51		73,106.42
არარეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		139,272.97		211,840.97

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

		<u>12/31/2022</u>		<u>12/31/2021</u>
წინსვრებით გადახდილი გადასახადი		65,274.00		23,859.00

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

		<u>12/31/2022</u>		<u>12/31/2021</u>
დავალიანება რეზიდენტი მომწოდებლების მიმართ		12,176.43		19,496.46
დავალიანება არარეზიდენტი მომწოდებლების მიმართ		3,733.65		44,477.71



3.7. საკუთარი კაპიტალი

		<u>12/31/2022</u>		<u>12/31/2021</u>
კაპიტალი		-		-
გაუნაწილებელი მოგება		1,806,359.00		1,552,235.00

3.8. არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები

		<u>12/31/2022</u>		<u>12/31/2021</u>
არასაოპერაციო შემოსავალი		34,359.00		23,593.00

არასაოპერაციო შემოსავალი ფორმირდება სახელშეკრულებო პირობის დარღვევის გამო მიღებული საპროცენტო შემოსავლით.


ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება



შპს სკაი გრუპ (ს/კ 405250026)

ფინანსური ანგარიშგება 2022

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის
28 სექტემბერს.

შპს „სკაი გრუპ“ - ის დირექტორი: ზორის კიკნაძე



ფინანსური დირექტორი: გიორგი კირვალიძე

